

# გორში დევნილებს უფასო სამედიცინო გამოკვლევა უტარდებათ

01 დეკემბერი 2017

გორის გიორგი აბრამიშვილის სახელობის სამხედრო ჰოსპიტალში მუნიციპალიტეტში მცხოვრები 60 წელს გადაცილებული დევნილებისთვის უფასო კლინიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტალური კვლევები ჩატარდა. პაციენტებს კონსულტაცია გაუწიეს ჰოსპიტალის ენდოკრინოლოგებმა, უროლოგებმა, ონკოლოგებმა, ტრავმატოლოგებმა და ანგიოლოგებმა. პროგრამის მიმდინარეობას გაეცნენ დევნილთა მინისტრი სოზარ სუბარი, შიდა ქართლის გუბენატორის მოადგილე სიმონ გულედანი და თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზაალ კაპანაძე. გამოკვლევაზე მისულმა დევნილებმა ხელისუფლების წარმომადგენლებს ყურადღებისთვის მადლობა გადაუხადეს.